

# ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი

Edition „LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE“ Géorgienne

გამოცემა საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა დრგანიშაციის საზღვარგარეთმდე დამდგაციის  
.....  
მექანიკური რვეული. პარიზი, სექტემბერი 1930 წ. Paris, Juillet 1930. Sixième cahier.

დ ა ნ გ რ ე ვ ი ს ტ ა ნ ი ს 6 0 6

ბოლშევკიზმი და მასთან საბჭოთა რეჟიმი, რომელიც დღეს სტალინის დიქტატურაში გამოიხატება, თავის განვითარების უკანასკნელ ფაზაში იმყოფება. დიდ ოპტიმისტებს და მისდამი სიმპატიით მეცყობილთაც კი, დღეს ის განწირულ დ მიაწინა. საქმე სხვა და სხვა სიძნელეზე კი არაა, რომელთა გადალახვა აბიექტურად. შესაძლებელი იქნებოდა. არა! დღეს მთელი რეჟიმი, ეს უხეში და უბადრუები დიტატურა აგონის განიცდის.

რამ შექმნა ასეთი მდგომარეობა?

ბოლშევკიკებმა დაიწყეს ეგრეშოდებული «სამხედრო კომუნიზმით». ეს სიტყვა თვითონ მოიგონეს უმთავრესად თავის გასამართლებლად იმ კატასტროფის გამო, რომელიც მათმა პოლიტიკამ გამოიწვია. ამ «სამხედრო კომუნიზმ»-ზე ისინი მოგომარეობამ კი არ აიძულა, არამედ შედეგი იყო მათი თავისუფალი გადაწყვეტილებისა. «სოციალიზმის» ერთბაშად შემოღება წარმოების და განაწილების ცველა სფეროში — ეს ხომ მათი პროგრამა იყო. მაგრამ ცხოვრებამ დეკრეტებით განხორციელებულ სოციალიზმის თეორია სასტიკად დამარცხა. ეკონომიკის სრული დეზორგანიზაცია, ქალსი, ხალხის მოთმინებიდან გამოსვლა — აი ცხოვრების პასუხი. კრონშტადტის აჯანყება — ეს იყო პოლიტიკური აპოთეოზი. შემინებულ ლენინმა უკანდახევა დაიწყო ახალ ეკონომიურ პილიტიკის შემოღებით (ნებ).

ნებმა განახორციელა კაპიტალიტურ მეურნეობის ელემენტარული პრინციპები; კერძო ინიციატივა, თავისუფალი გაჭრობა შიგნით, კერძო კაპიტალის მოქმედება წარილ წარმოებაში, ხოლო მსხვილ წარმოებაში კონცესიების სახით, გლეხობისათვის თავისუფლების მინიჭება, თავის შრომის ნაყოფი ბაზარზე გამოიტანოს გასაყიდათ, ძალად პურის წართმევაზე უარის თქმა, სახელმწიფოს ხელში მყოფ წარმოებაში მუშათა საბჭოთა კონტროლის მაგივრად დირექტორის ბატონობის აღიარება, ბირეებისა და ბანკების გახსნა, სხვა და სხვა გადასახადის შემოღება, ფულის თავისუფალი ტრიალი.

ახალმა პოლიტიკამ ეკონომიურ ორგანიზმის ძალებს ერთგვარად გზა გაუხსნა. დაიწყო სოფლის მეურნეობის და ინდუსტრიის განვითარების პროცესი.



რამოდენიმე წლის განმავლობაში ამ პოლიტიკამ შექმნა ახალი ბურჯუაზების დალაქში და მთამაგრა გლეხობა, როგორც კერძო მესაკუთრეთა კლასი. კერძო მეურნეობის სექტორი, როგორც სოფლად, ისე ქალაქად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, კიდევ ე. წ. საზოგადოებრივი სექტორი, კერძოდ, ლენინის მიერ სოფლად შემოღებული «კოლხოზები», (გლეხთა კოლხებიური მეურნეობა) და «სოვხოზები», (საბჭოთა სახელმწიფო მეურნეობა) სულს დაფაცდენ.

მეორე მხრივ, ახლად წარმოშობილ და ფეხზე წამომდგარ კლასებს თავისი ბუნებრივი განვითარებისათვის უფრო მეტი კონცესიები სჭირდათ. ნეპის მიერ შემოღებული თავისუფლება აღარ იყო საკმარისი. ახალი მდგომარეობის ლოდიკური განვითარება მოითხოვდა უფრო მეტ თავისუფლებას. ამგვარად, საწარმოო ძალათა განვითარება წინააღმდეგობაში ვარდება არსებულ იურიდიულ-პოლიტიკურ პირობებთან, რაც საბჭოთა რეეიმისათვის საფრთხეს ბადებს. ეს ბოლშევიკებმა კარგად იგრძნეს. ეკონომიურად მომაგრებული მუშა, გლეხი, ბურჟუა — ეს ნიშნავდა თავისუფლებისადმი, დამოუკიდებლობისადმი ლტოლვილ, ესე იგი საბჭოთა სისტემის, ბოლშევიკურ დესპოტიის წინააღმდეგ მიმართულ ძალთა გაძლიერებას. ნეპის განვითარება მოასწავებდა დემოკრატიისათვის ბრძოლის ნიადაგის შექმნას.

ბოლშევიზმის წინ ამ პირობებში ორი შესაძლებლობა ისსწორდა: ან ნეპის განვითარება და მასთან ლოდიკურად დაკავშირებული, არა მარტო სტალინის დიქტატურის, არამედ მთელი კომუნისტურ რეეიმის ლიკვიდაციის მომზადება, ან-და ნეპის მოსპობა და «კომუნისტურ მეურნეობისადმი» უკან დაბრუნება. ეკონლუციის ილიუზიონისტებს ეგონათ, რომ ბოლშევიკში ნეპის საშვალებით თანდათან დემოკრატიაში შეიჩრდებოდა. მათ ეგონათ, რომ ბოლშევიკები შეიგნებდნენ ისტორიულ აუცილებლობას და რუსეთს დემოკრატიისადმი გზას გაუსხნიდნენ. ბოლშევიკების ერთი ნაწილი, ე. წ. მემარჯვენენი ფიქრობდენ და ახლაც ფიქრობენ, ამ გზით საბჭოთა რეეიმის შენარჩუნებას, რაც თავისთავად უტოპიას წარმოადგენს, რამდენათაც საბჭოთა სისტემა ანტიდემოკრატიულ რეემს წარმოადგენს. უფრა მართალი იყო პარტიის მემარცხენე ნაწილი, რომელიც ნეპის განვითარებაში ბოლშევიკურ რეეიმის მესაფონავეს ხდავდა. სტალინი კი თავის პაზიციების, ხელისუფლების გასამაგრებლად ხან ერთ ტენდენციის, ხან მეორის გავლენაში აწარმოობდა პოლიტიკას და რიგორიგობით ხან ერთ მხარის, ხან მეორის წარმომადგენლებს ეპრძოდა. ყველ შემთხვევაში მიხედა რა ნეპის გაგრძელება რა საფრთხეს წარმოადგენდა რეეიმისათვის, დაიწყო მისი თანდათანობითი მოსპობა და გამოიგონა ე. წ. ხუთწლიანი გეგმა, რომლის მიხედვით ხუთი წლის გამბალობაში უნდა მიმზდროიდ რუსეთის ინდუსტრიალიზაცია, რა თქმა უნდა არა კერძო, არამედ სახელმწიფო საკუთრების ნიადაგზე. ამ გეგმის განხორციელებით მას უნდოდა რუსეთი უცხოეთისაგან დამოუკიდებელი გაეხადა, და ასე მხოლოდ ერთ ქვეყანაში განხორციელებინა «ასპროცენტიანი სოციალიზმი».

ინდუსტრიალურად უაღრესად განვითარებული რუსეთი, მიაწოდებდა სოფელს ყველა პაჭირ საქონელს, მიიღებდა მისგან საკმაო პურს, როგორც შინაურ მოთხოვნილების დასაგმაყოფილებლად, ისე უცხოეთში გასახიდათ. ეკონომიური დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირს საშვალებას მისცემდა კომუნისტური აგიტაცია გაეძლიერებია უცხოეთში და ამგვარად «მსოფლიო რევოლუცია» დაექარებია.

როგორ მოხდებოდა ასეთი სასწაული, რომ გაღატაკებული, ჩამორჩენილი, სრულიად უკაპიტალოდ მყოფი, მონობის უდელ ქვეშ მომწყვდებლი რუსეთი ხუთი წლის განმავლობაში უაღრესად განვითარებულ ინდუსტრიალურ ქვეყანად გადაიქცევოდა, ეს აღახმა უწყის.

ცხოვრებამ პირველ შელიწადშივე დამტკიცა ამ გეგმის უსუსურობა. ვერც სფეროში ვერ ასრულდა გეგმა. სოფლად კი მას მოჰყვა კატასტროფული შეცემი.

ხუთი წლის გეგმის მიხედვით, სოფლად მთავარი როლი უნდა შეინჭათ გამოყენებას ლექტიურ მეურნეობას. გლეხის კერძო მეურნეობას გამოეცხადა ომი. თუმცა ბრძოლა უნდა წარმოებულიყო ე. წ. «კულაკების» წინააღმდეგ, მაგრამ რაკი არც ერთ შემთხვევაში არ მომდარა «კულაკის» მცნების ნათელი განმარტება, ბრძოლა წარმოებდა არსებითად მთელი გლეხობის წინააღმდეგ, რომელიც თავის კერძო მეურნეობას მისდევდა. სტალინის ბრძანებით უნდა მომხდარიყო ე. წ. კოლექტივიზაცია, გლეხების კერძო საკუთრების მოსპობა და მათი «კოლხოზებში» შესვლა და იქ სახელმწიფოსათვის მუშაობა.

გლეხები ამგვარად უნდა სახელმწიფო მუშებად გადაქცეულიყვნენ, მათი კერძო თავისუფლება ისპობოდა და ისინი ხდებოდენ სტალინის «სახელმწიფოს» ყმებად. სოფლად სრული კოლექტივიზაციის განხორციელება ხუთი წლის განმავლობაში, ეს შეადგენდა ხუთწლიან გეგმის ქვაკუთხედს.

სტალინის ბიჭებმა ბატონის გასახარებლად მიჰყვეს ხელი «კოლექტივიზაციის კამპანიის საჩაროდ და წარმატებით ჩატარებას» და რამდენიმე თვის შემდეგ ბოლშევიკური განხეთები გაივსო ცნობებით «კოლექტივიზაციის ფრონტიდა».. «გადადიან კოლექტივში» ამა და ამ რაიონის გლეხები, «ასი პროცენტით განვახორციელეთ კოლექტივიზაცია» და სხვა და სხვა.

მართლაც, როგორც ირკვევა, გლეხობის 50 პროცენტი გადავიდა «კოლხოზებში. ამ გამარჯვებას ბოლშევიკებმა მიაღწიეს ცეცხლით და მასვილით. გლეხობამ თითქმის ყველგან გაუშია წინააღმდეგობა «გლეხურ-მუშურ» ხელისუფლებას. აქა იქ აჯანყებებსაც ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით, ჩრდილო კავკასიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში და საქართველოში.

ბოლშევიკებმა ჩვეულებრივად ტერორით უპასუხეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ხალხს. ყოველ დღე მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იხერობოდა რამდენიმე ასეული გლეხი. ტერორს გლეხობამ ტერორითვე უპასუხა. ამგვარად გაჩარდა სამოქალაქო ომი.

სხვა და სხვა კუთხიდან მოსულ ცნობების მიხედვით, აუშერელია ის მხეცური სისასტრიკე, რომლითაც სტალინის ბრიგადა ებრძოდა ხალხს. თუ რამე გააჩნდა გლეხს, ის გამოცხადებული იყო როგორც «კულაკი» და ვაი მისი ბრალი მაშინ! მას ერთმეოდა ყველაფერი და სრულიად გაძარცული ირეკებოდა გარედ. ამგვარად, რაკი სახლში დარჩენა და კერძო მეურნეობის წარმოება აღარ შეიძლებოდა; გლეხები ანადგურებდენ, რაც გააჩნდათ, და მასიურად შედიოდენ კოლხოზებში, იმ იმედით, რომ იქ სახელმწიფო მათ აუმჯდა, ასმევდა და ჩააცმევდა.

ასეთ პირობებში ადგილი წარმოსადგენია, თუ რა ნაყოფიერი იქნებოდა კოლხოზებში ძალად შეეყანილი გლეხების შრომა. ამასთან კოლხოზები ითხოვდენ აუარებელ ტეხნიკურ საშვალებებს, რის მიცემა უმშეო საბჭოთა სახელმწიფოს, რაღა თქმა უნდა, არ შეძლო.

სტალინს სულ სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი კოლხოზები. მისი აზრით გლეხებს უნდა სახელმწიფოსათვის ემუშავათ, მაგრამ მათი ჭამა-სმა, ცხოვრება სახელმწიფოს მოვალეობა კი არ უნდა ყოფილიყო, არაედ თვით გლეხების პირადი ზოგნების საგანი. რასაკვირველია, ამას სტალინი ვერ მიაღწიება. მის წინაშე დადგა აჩრდილი სახალხო აჯანყებს, რომელსაც ბუნებრივად გავლენა უნდა მოეხდინა ჯარზე, ამის სიმპტომები მან უკვე დაინახა, და ია ასეთ პერსპექტივების წინ მან გამოაცხადა საჯარო უკან დახევა მთელ ფრონტზე.

ცნობილ სტატიაში, მან განაცხადა, რომ მისი ნების პირნათლად ამსრულებელთ თავბრუ დასხსათ, გადაბრალა მათ ყველა ის შეუბრალებელი ტერორისტული ზომები გლეხობის წინააღმდეგ საჩქაროდ გატარებულ კოლექტივიზაციის პროცესში, რომელსაც ის თვითონ ითხოვდა უწინ...

ასეთი სილაპრე, ასეთი ზნეობრივი დაცემა ისტორიას არ ახსოვს. მან იმსწოდება რამდენიმე ერთგული «ამხანაგი» და მოხელე, რომ ამ გზით თავიდან პასუხისება აეცილებია.

მაგრამ მის ძლევამოსილობას არ ძალუს ეს სიცრუე მოახვიოს ხალხს, რომელმაც კარგად იცის, რომ მთელი ამ უბედურობის პასუხისმგებელი, რომელიც სოფლად დატრიალდა, არის სტალინი და მისი პირმოთნე მსახურნი.

ამ უკან დახევას მოყვა სხვა და სხვა დეკრეტები მოყლე ხნის განმავლობაში, რომელიც აღიარებდნენ კოლხოსებში შესვლის ნებაყოფლობის პირნციპს და აძლევდნენ შედავათებს ყველა იმათ, ვინც მოისურებდა კოლხოსებში დარჩენას.

ამ დეკრეტებს რომ კაცი დაუკავირდეს, მიხვდება, რომ მათ არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექვებათ.

რა ფასი აქვს მაგალითად იმ დაპირებას, რომ გლეხი გათავისუფლებული იქნება გადასახადისაგან იმ ნაწილისათვის, რომელსაც ის ზედმეტად მოხნავს. გლეხს კი დღევანდველ პირობებში არავითარი სურვილი არა აქვს იმაზე მეტი მოხნას და დათესოს, რაც მას პირადათ სჭირია საცხოვრებლათ.

საბჭოთა კავშირის გლეხობა უკვე საკმარისად გამოცდილია, რომ სტალინის ახალ დაპრეტებებს, გაზაფხულის თესვის წინ მიცემულს, არ გაუშიოს ანგარიში.

სტალინი იძულებული იქნება ისე მიმართოს ძალაუბობას და ტერორს. ის ახლა ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ თუ არ დასთმობს, ეს გლეხთა აჯანყებას გამოიწვევს, ხოლო თუ დათმობს, ეს ხალხს ნებას იცემს, უფრო მეტი მოითხოვოს.

ეს მდგომარეობა არის რეეიმის უკანასკნელი საათი.

მართალია, სტალინს პარტიის აპარატი, წლობით მომზადებული და ჩაწყობილი, ხელში უკავია და მას ისე ატრიალებს, როგორც მას სურს. რა საცოდავ სურათს წარმადგენდა ბოლშევიკური პარტიის ყრილობა მოსკოვში, რომლის დელევატები სტალინისა და მისა დამქაშებას მაჟარ წინასწარ მაჭჩადებულ სიიბის მახედვით იყვნენ არჩეული. რამდენად უნდა დაცემულიყოს ზნეობრივათ ეს რეეინი, რომ ადგილი ჰქონდეს ასეთ სამარცხინო, საბრალო კაპიტულაციას, როგორიც არის რიკოვს, ტომსკის და უგლანოვის. ე. წ. მემარჯვენე «ლიდერების» გამოსალები. მართალია, ა) ყრილიპამ ერთხმად გამოაცადა, რომ «პარტია», მისი «ც. კ.», მის «გენერალური ხაზი», ე. იგი სტალინი და მისი პოლიტიკა ყოველ კრიტიკის გარეშე იმყოფება. ერთხელ კიდევ ჩაწყობილია სტალინის და გამოცხადა თანამედროვე აზიატური დესპატი «პროლეტარიატის ბელადათ».

მართალია, სტალინი გაიძახის, რომ საბჭოთა რეეიმი დედამიწის ზურგზე ყველა სხვა რეეიმშე მტკიცეა (ასე აცხადებენ ყველა დიქტატორები!), რომ საბჭოთა კავშირის მნიური მდგომარეობა, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური საუცხოვოა, მართალია, რომ მას მოყავს მის სურვილშე შეთითხნილი ციფრები, რუსეთში სოციალიზმის განხორციელების დასამტკიცებლად.

მაგრამ მისი სიტყვა არასრუოს არ ყოფილა ისე მოშორებული სინამდვილესთან, როგორც დღეს.

არას დროს ბოლშევიკური პარტია ისე მოწყვეტილი არ ყოფილა ცხოვრებასთან და ხალხთან, როგორც დღეს, არას დროს არ განიცდიდა ის. ისეთ სოციალურ იშვილიაციას, როგორც ახლა.

იყო დრო, როდესაც გლეხობა მას მხარს უჭერდა. ახლა მთელი გლეხობა მის წინაღმდეგა მიმართული, რადგან ხელისუფლებას პირეულად ახლო ხელი მის წმიდათა წმიდას, მის საკუთრებას, მის მიწას.

ხალხი განიცდის აუშერელ გაჭირებას. ქალაქში არაა საკმაო სანოვაგე, პურმ, საქონელი.. ისევ შემოღებულია საბარათო სისტემა, რომელიც აუცილებელ მინიმუმის

ვერ აძლევს ხალხს. კუდები, საათობით «კონტრატივების წინ დგომა — აი ძველი ცეკვა მის მიზანისათვის, რომელიც დღეს «სამხედრო კომუნიზმის» ათი წლის შემდეგ, მეორდება.

წარმოების ნაყოფის ლირსება დაეცა და ამის შესახებ სავსეა ცნობები საპოტოთა განხეთებში. ეს უზრის მუშათა რეალურ ხელფასის დაცემას.

ფინანსიური კრიზის ზედ ახლავს ეკონომიკურ კრიზისს.

საბჭოთა რუსეთი იძულებულია გეგმის საწინააღმდეგოდ ახალი ზედმეტი ემისია მოახდინოს, რაც ბუნებრივთა ინფლაციას გამოიწვევს.

ტრანსპორტის დეპორტაცია ძლიერდება.

სოფლათ აგრარულ ქაოსის გამარ, თესვის გეგმა შეუსრულებელი დარჩა, და ახალი დიდი შიმშილი მოსალოდნებლია. გლეხობი თავის ნებით არ აძლევს პურს ხელისუფლებას, და ეს უკანასკნელი ძალით ართმევს პურს სოფელს. ეს ნიშნავს ახალ ტერორს და სამოქალაქო ომს.

უცხოეთში კრედიტების შოვნა და კონცესიების გაცემა თითქმის შეუძლებელი ხდება. «ხუთწლედი ოთხწლედში» — ტრალიკომიკურად თავდება. სტალინი ჯავრს იყრის იმ მეცნიერთა და «სპეცთა» მცირე ჯგუფზე, რომელიც სინიდისიერათ ემსახურებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და რომელიც სულტანიან გეგმის შედეგებს კრიტიკის და ეჭვის თვალით უყურებდენ. ის, ჩვეულებისამებრ მათ როგორც «მაგნებელთ» და კონტრ-რევოლუციის მონაწილეთ აცხადებს და თავის გეგმის ჩაფუზვისათვის, პასუხისმგებლად ხდის. სუხანოვის და გრომანის დაპატიმრება სხვებთან ერთათ — ეს სასოწარკვეთილებით გამოწვეული ახალი პროგრაცია არის.

დღეს, მგონი, აღარ დარჩა კაცი, რომელსაც კიდევ პქონდეს ილიუზია, რომ ბოლშევიზმი თან და თან შემოილებს დემოკრატიულ რეფორმებს.

არა, დღეს ბრძოლა ხალხსა და დიტატურის შორის გამართულია სამყვარო სასიცოცხლოდ. ხალხი გრძნობს, რომ ის ამოისუნთქავს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისთვის საზიზღარ რეკიმს ბოლო მოედება. ის უკვე გამოსულია რევოლუციონურ ბრძოლაში და ამ ბრძოლაში დაემხმბა ბოლშევიზმი.

სულ უსუსურ რეფორმასაც კი მზოლოდ ერთი მნიშვნელობა ექნება: — ის გააღვივებს რევოლიუციას.

გლეხობა დღეს უსათუოდ რევოლუციის ავანგარდია. მავრამ მას თუ დროზე არ აღმოუჩნდა ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც გულწრფელად დაინტერიერებულია დემოკრატიის გამარჯვებაში, ეს მოძრაობა შეიძლება ახდილ ფაშისტორ და ბონაპარტისტულ რეაქციისადმი მივიდეს, თუმცა ეს აუცილებელი არაა.

მისი ბუნებრივი ხელმძღვანელი უნდა გახდეს სოციალისტური პროლეტარიატი, სოციალდემოკრატია. ვაი მას, თუ მან არ შეიგნო თავისი ისტორიული მისია და არ აღმოჩნდა თავის სიმაღლეშე.

სოციალისტური პარტიების მოვალეობაა, პროლეტარიატი მოამზადოს და მას რევოლიტურიონურ ბრძოლისადმი მოუწოდოს.

ფეხზე დამდგარ გლეხობას და მუშათა კლასს ჯარი წინააღმდეგობას არ გაუწევს.

საქართველოს სოციალდემოკრატიას, ისე როგორც საქართველოს სოც.დემ. ახალგაზინდობას თავისი მოვალეობა შეგნებული აქვს. ის თავის იმედებს აკავშირებს იმ დიდ ბრძოლასთან, რომლის მიზანია ბოლშევიზმის დანგრევა და დემოკრატიის გამარჯვება — საბჭოთა კავშირში.

ის მიღის რევოლიუციის და დემოკრატიის გზით თავის ახლობელ მიჩნის განსახორციელებლათ: საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის აღსადგენად.

გ ა რ ქ ს ი ს ბ ი ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი თ

I. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა . (\*)

მარქსის შეხედულება საზოგადოებაზე გამომდინარეთბს ფილოსოფოს ჰეგელის შეხედულებიდან. ჰეგელის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრება დამყარებულია ადამიანის ნივთიერ საჭიროებათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, თვითეულ ადამიანის ერთი მეორესთან დაკავშირებულ და ერთი მეორესთან ცვალებადობითი დამოკიდებულებაში მყოფ სამეურნეო პროცესის საშვალებით. საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი არის საჭიროებათა დაკმაყოფილება, ურთიერთი, ერთად და ერთი მეორესთან მოქმედება საჭირო საარსებო საშვალებათა მოსაპოვებლად. საერთო საცხოვრებელ საშვალებათა მოპოვების ამ პროცესიდან გამომდინარე ცვალებაზობითი დამოკიდებულებანი (სამეურნეო დამოკიდებულებანი) ჰქმნიან საფუძვლით ან საზოგადოებრივ დამოკიდებულებას. ამნაირად: საზოგადოება არის კრებული ყველა ასეთ პირთა, რომელიც განსხალვრულ დროში პირდაპირ (უმეტვეოდ) ან არაპირდაპირ ერთი მეორესთან ასეთ ცვალებადობით დამოკიდებულებაში იმყოფებიან. მარქსის აზრით, ადამიანი განსაზოგადოებულია თვით პირველყოფილ დროში, რადგან საჭიროებათა დაკმაყოფილება მაშინაც საზოგადოებრივი იყო (მაგალითად: ერთად საჭმელის ქება: — ნაყოფთა შეკრება, ცხოველების დახოცვა, ნადირობა თევზაობა და სხ.). თვით იმ დროშიაც კი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი შრომის პროცესი საზოგადოებრივი იყო, ერთობლივი მოქმედებით და ერთობლივი გამოცდილებით განსაზღვრული. ამ საჭებუჩქე, მონაწილეთა შორის ჩნდებიან მრავალნაირი ურთიერთობისა და დამოკიდებულებათა მოვლენანი, საზოგადოებრივი ცვალებადობითი დამოკიდებულებანი, — და რომელიც მრავლდებიან მაშინ, როდესაც ადამიანები გადადიან სამეურნეო განვითარების შემდეგ და შემდეგ საჭებუჩქე, რათა საცხოვრებელი საშვალებანი (კვება, ჩაცმა და სხ.) სხვა ადამიანებთან ერთად ხელოვნურად დამზადონ; ადამიანი თავს აღწევს ბუნებას; ბუნების არსებილან იგი ხდება საზოგადოებრივ არსებად, ვინაიდან, რამდენათაც იგი საზოგადოებრივი საერთო შრომით თავისუფლდება ბუნების უწინდევლ დამოკიდებულებისაგან, იმდენად უფრო მეტად ვარდება იგი თავისი საზოგადოების ცვალებადობითი საცხოვრებელ პირობათა გავლენაში. ეს ცვალებადობითი დამოკიდებულებანი იმდენად უფრო მრავალფეროვანი ხდებიან, რამდენათაც ერთი მხრივ წინ მიდის შრომის განაწილება და მეორე მხრივ იზრდება წარმოებისა და გაცვლის ორნობა. შრომის განაწილება და მეორე მხრივ იზრდება წარმოებისა და გაცვლის ორნობა.

მოთხოვნილებათა (საჭიროებათა) დაკმაყოფილების მიწნით — (სიცოცხლის უზრუნველყოფა, ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა, ბინა და სხ.) ადამიანები შრომობენ ერთა მეორესთან და ერთმანეთის წინააღმდეგ, ჰქმნიან განსაზღვრულ ცვალებადობით

(\*) დაწვრილებით იხილეთ; პროფ. კუნივე: — «დი მარქსშე გეშიხტს, - გეზელშაფტს უნდ შტატსტრეორიი». ბერლინი,

დამოკიდებულებას (ურთიერთ დამოკიდებულება), — ყველა ამ ერთ ურთიერთ შემოკიდებულ პროცესიდან გამომდინარე ცვალებაობითი დამოკიდებულებანი ჰქნა-ან საზოგადოებრივ აღნაგობას (სტუქტურას) და ყველა ერთი მეორესთან ასეთნაირ დამოკიდებულებაში მყოფნი პირები ჰქნინ საზოგადოებას. მაშასადამე: თვითეუ-ლი საზოგადოების ფორმაცია განსაზღვრულია მის საჭიროებათა დაკმაყოფილები-სათვის საერთო შრომის პროცესით და აქედან გამომდინარე სამეურნეო ცვალება-დობითი დამოკიდებულებებით.

საზოგადოებრივი ცხოვრება არის ერთად ცხოვრება და ერთად მოქმედება განსაზღვრულ სამეურნეო პირობებში საერთო სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყო-ფილებლად. ამის მიხედვით არსებობენ: კაპიტალისტური საზოგადოება, ფეოდალუ-რი საზოგადოება, აგრარ-კომუნიზმის საზოგადოება, წინაგანიტალისტური საზოგა-დოება და სხ.

საზოგადოება არსებობდა უფრო ადრე ვინემ სახელმწიფო. საზოგადოებრი-ვი წესშეყობილება მტკად უფროსია და ძველი ვინემ სახელმწიფოებრივი.

თვითეულ საზოგადოებაში იქმნება ორგორუ სამეურნეო ცხოვრების პრო-ცესის შედეგი: — ერდგვარი მტკიცე ან მერყევი წესი სოციალურ ცვალებადობითი დამოკიდებულებებისა, ურომლისითაც სამეურნეო პროცესი, საერთო მოქმედება თვითეულთა, საჭიროების დაგმაყოფილების მიზნით, თავისთავად არ მოხდებოდა.

ეს წესი და აქედან მასთან ერთად გამომდინარე საერთო სოციალურ დამო-კიდებულებათა დანარჩენი წესშეყობა არის საზოგადოებრივი წესშეყობილება.

სახელმწიფო წესშეყობილება კი, პირიქით, გამოიხატება სახელმწიფოსაგან მის წევრთათვის გამოცემულ, მათ ურთიერთთან განშეყობილების მომგარებელ იძ-ულებაში ჩაყენებულ სახელმწიფო—სამოქალაქო კანონითა და განკარგულებით.

სახელმწიფო არის საზოგადოების მიერ შექმნილი დაწესებულება, მაგრამ სახელმწიფოებრივი წესშეყობილება მთელ სოციალურ მმართვას არ შეიცავს და სა-ხელმწიფოს კანონები სოციალურ კანონთა მთელ სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს არ იძლევა.

## 2. გ ლ ა ს ი

სიტყვა «კლასი» არის ბერძნები, რაც თავდაპირეელად ნიშნავდა დანიშვ-ნას, მიმართვას და შემდეგ კი დანაწილებას. ამ უკანასნელი მნიშვნელობით ეს სი-ტყვა «კლასი» ხმარებაში შემოვიდა მე-16 საუკუნეში და განსაკუთრებით მე-18 საუ-კუნეში, საფრანგეთის ოვოლუციის დროს მტკად გავრცელდა. სიტყვა «კლასი» იძ-მარებოდა სიტყვა «წოდება»-ს მაგივრად და იყო მისი დემოკრატიული გამოთქმა.

მაგრამ ამ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა მას შემდეგ, რაც მარქსმა «კომუნისტური მანიფესტი» ცნობილი წინადადებით დაიწყო: — «აქმდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია»

მარქსის შეხედულება კლასის შესახებ გამომდინარეობს მისი შეხედულები-დან სამეურნეო პროცესზე. მისი კლასთა თეორია დამყარებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს საჭიროებათა (მოთხოვნილება-თა) დასაკმაყოფილებლად აუცილებელ შრომის მოქმედებათა სისტემას. ამ საზოგა-დოებრივ შრომის მოქმედებისაგან აუცილებლად გამომდინარეობს გარკვეული სო-ციალური ურთიერთშორისო დამოკიდებულება (საწარმოო დამოკიდებულება) და ყველა პიროვნება და ჯგუფები, რომელიც ამ საზოგადოებრივ საერთო წესშეყობაში ერთი ერთმანეთთან ერთნაირ დამოკიდებულებაში სდგანან, მაშასადამე: სამეურნეო მოქმედების ერთსა და იმავე კატეგორიას ეკუთვნიან, თავისთავად ჰქნიან კლასს.

მარქსის თვალსაზრისის მიხედვით, გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია არა ქონების სიღიდე, არც შემოსავლის დონე, არც ხელობის გვარობა, არამედ სამეურნეო მოქმედების გვარობა და ამისი საშუალებით საზოგადოების წევრების შექმნილი მდგომარეობა საწოგადოებრივ სამეურნეო წესწყობაში.

ამის მიხედვით, მარქსი ჰყოფს კაპიტალისტურ საზოგადოებას სამ მთავარ კლასად: — 1) მიწისმფლობელნი, როგორც ადგილმამულის მესაკუთრენი და მამულის რენტით მოსარგებლენი. 2) კაპიტალისტები ერთას მხრივ და კაპიტალის მიმწოდებელნი და გამსესხებელნი მეორე მხრივ, როგორც უცხოთა შრომის ძალის მომზმარებელნი კაპიტალის მოგების მისაღებად. 3) მუშები, როგორც თავისი საშუალ ძალის ქირაზე გამყიდველი

ეს კლასები ნაწილდებინ კიდევ მრავალ ქვეკლასად იმის მიხედვით, თუ მათ წევრებს რა განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სოციალურ საწარმოო პროცესში. მეზამულებებს შეეძლიათ იყონ მარტოდ მამამულენი, რომელნიც მხოლოდ რენტით ცხოვრობენ; ისინი შეიძლება იყვნენ აგრეთვე თვითონ მეურნენი, დიდი ან პატარა მეურნენი.

კაპიტალისტი შეიძლება იყვნეს ფინანსისტი ანუ ბანკირი, დიდი მწარმოებელი, დიდი ვაჭარი, მეწვრილმანე და სხ.

ამასთანავე არსებობენ შუა-კლასები, რომელთაც საშუალო ადგილი უჭირავთ; და დაბოლოს, ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება რამოდენიმე კლასს ეკუთვნოდეს. მაგალითად: ფინანსისტი შეიძლება იყვნეს აგრეთვე დიდი მემამულე, სოფლის ხელოსანი აგრეთვე დიდი გლეხი და სხ.

ერთი და იგივე ხელმის მატარებელნი კლასს არ წარმოადგენენ. ხელმით ექიმები, ექილები, მხატვრები და სხ. არ წარმოადგენენ კლასს და არც საზოგადოებრივი შრომის განაწილებისაგან წარმოშობილი მესაკუთრეთა კატეგორიები; ამის გამო, მაგ. არც მაღაროთა, არც ტყეთა და სხვა მესაკუთრენი; არც მშენებელნი, დურგალნი, ფეიქრები, თუთუნის მუშები და სხვები კლასად არ ჩაითვლებიან.

### ჩატომ?

იმიტომ, რომ არც ამ მუშათა ჯგუფებს, არც აღნიშნულ კერძო მესაკუთრეთა გვარს არა აქვთ თავისთავად სამეურნეო პროცესში სხვადასხვაგვარად-ქმნილ ურთიერთ დამკიდებულებაზე დამყარებული მდგომარეობა. როგორც თუთუნის მუშაისე ფეიქრები მუშა ჰყიდის თავის სამუშაო ძალას ქირაზე, ერთსა და იმავე ეკონომიურ პირობების ღრმას და ეწევა (თუ ერთი და იმავე ხარისხით არა) ჭარბ-მუშაობას. მათი საწარმოო მოქმედებიდან გამომდინარე კლასობრივი მდგომარეობა მეწარმოთა მიმართ (სამრეწველო, აგრეთვე სავაჭრო და ფულის კაპიტალიზმის მიმართ) და მემამულეთა მიმართ არის ერთი და იგივე, აკეთებენ ისინი პაპიროსებს, ართავენ თუ ქსოვენ, ეს სულ ერთია. ამიტომ აქვთ მათ აგრეთვე საერთო ინტერესები და წინააღმდეგობანი.

იგივე ითქმის მრეწველ კაპიტალისტზე. სულ ერთია, თუ სად მოათავსა მან თავისი კაპიტალი: ქანახშირის წარმატებაში, მეგაურეობაში თუ თუთუნის ქარხანაში. წინააღმდეგ, მრეწველი, მისგან მისი საქონლის მყიდველი და გამყიდველი ვაჭარი და ფულისა და ბირეის საქმეებით მცხოვრები ბანკირი, თუმცა ისინი ყველანი კაპიტალისტები არიან, მაინც კაპიტალისტურ სამეურნეო წესწობაში სხვა და სხვა გვარ სამეურნეო დანიშნულებაზე და ურთიერთ დამოკიდებულებაზე დამყარებულ მდგომარეობას ღებულობენ; და ამის მიხედვით მართლაც შეიძლება გაარჩიონ კაპიტალისტთა კლასში სხვა განსხვავებული ქვეკლასი მწარმოებელთა, ვაჭართა, ფინანსისტებისა. მწარმოებელი ყიდულობს სხვის სამუშაო ძალას, ხმარობს მას თავის სარეწაოში რომელიმე საქონლის დასამზადებლად და შექმნილ ზელირებულებას, როგორც თავის წილს, სარეწაო მოგების სახით ღებულობს. ფინანსისტი, წინააღ

მდეგ, ასესხებს ფულს, სულ ერთია თავისას თუ სავისას, და ლებულობს სავალო ქალალდს, თამასუქს, ღირებულების ქალალდს, გირაოს; საწინდარს და სხ. და ამაში ეძლევა მას სარგებელი სხვა და სხვა სახით (სავალო სარგებელი, კუპონის სარგებელი, დისკონტი, სკონტო და სხ.). ორივენი არიან კაპიტალისტები და თავის შემოსავალს ლებულობენ საზოგადოებრივ სამეურნეო პროცესში შექმნილ ზელირებულებიდან; მაგრამ მათი სამეურნეო დანიშნულებანი ამ პროცესში სხვა და სხვა არიან და კაპიტალისტურ წარმოებაში წარმოადგენენ სხვა და სხვა გვარ სამეურნეო მოდვაწეობის მხარეებს, რომელთა შორის ერთგვარი ინტერესთა სხვადასხვაობა და წინააღმდეგობანი არსებობენ.

კლასთა დანაწილებაში უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვინემ ხელობის სხვადასხვაობას,— ქონების სიღიდეს ან შემოსავლის დონეს. ხუთიად გაიგონებთ: — ამა და ამ გლეხს ან ხელობას იმაზე მეტი შემოსავალი არა აქვს და უკეთესად არა სცხოვრობს, ვინემ კარგად მოწყობილი სამრეწველო მუშა, მაშასადამე, ისიც მუშათა კლასს ეკუთვნისო. ან ამბობენ: — ამ მეწრილმანეს მისი საწვრილმანობან არა-ფერი ეკუთვნის; იგი მუშაობს მხოლოდ ვალით, ამიტომ იგი არის მხოლოდ მუშაო. ასეთ თქმას მარჯსის კლასობრივ თეორიასთან არავითარი საქმე არა აქვს. დამოუკიდებელი გლეხი იმით, რომ მას მცირე შემოსავალი აქვს, ნაკლები, ვინემ კარგ ქირიან მუშას, არ ხდება მუშად, ეს იგი, იგი არ იმყოფება კაპიტალიტისადმი ქირის დამოკიდებულებაში, არავითარ ზელირებულებას მას არ აძლევს და კაპიტალის ზემოგებას არა პქმნის; აგრეთვე არ ცაბარტახებული ბარონი ან ოფიცერი, რომელთა შემოსავალი ჩეკულებრივი მუშის შემოსავალზე მცირეა, ამის გამო სულაც არ ხდებიან ქირის მუშად.

ამგვარად: კლასი არის სამეურნეო განვითარების პროცესის ნაყოფი, არსებული მეურნეობის ფორმაციაში ფესვ - გადგმულ ინტერესთა ერთობა. კლასთა ფენების საფუძველია შრომის განაწილება, რომელსაც შედეგად აქვს საზოგადოებრივი შრომის მოქმედებათა განსაზღვრულ კატეგორიების შექმნა.

ბ. ვ.

## ს ა მ ჟ ო ბ ლ ო ს ი დ ე ა დ ა ს თ ც ი ა ლ ი ზ ე ბ ი

ოლიგარქების, არისტოკრატების, მონარქისტებისა და პრივილეგიურ ჯგუფთა ისტორიის ხანში გამეფებული იყო აზრი, რომ ისინი წარმოადგენდნენ სამშობლოს განსახიერებას. სამშობლოს ინტერესი, მათი აზრით, ეთანაბრებოდა მათ სოციალურ-პოლიტიკურ სახეს... როცა ამა თუ იმ ქვეყნის არისტოკრატთა ჯგუფი თავის საკუთარ ქვეყნის აჯანყების, რევოლუციის ჩასაქრობათ უცხო ძალას უკავშირდებოდა თავის სამშობლოს წინააღმდეგ, ის მუდამ ფიქრობდა, რომ უკანასკნელი დაიღუპება თუ მან ას არ მოიმოქმედა...

სამშობლო არ არის საკუთარება არც ერთი კლასის, ის არ არის ჩაჭედილი ამა თუ იმ ეკონომიურ კატეგორიის ფარგალში; მისი იდეალი მაღალია, მას ძირი მაგრად აქვს ჩამარხული ინდივიდუალურ თავისუფლების არსებაში. უძველეს დროიდან, როცა აქა-იქ მოფანტული იყვნენ ადამიანთა მცირე ჯგუფები, ყოველდღიურ ცხოვრების მოთხოვნილებამ ინსტიტუტურად დაბადა დაახლოვების აუცილებლობა, ფართე ჯგუფების დაარსება, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა შემდეგ ევოლუციას..

პიროვნებათა შემოქმედება განვითარდა თითეულ კოლექტივში, გაფართოვდა და საზოგადოება, სადაც თვით დაჩაგრულს, რომელიც იძულებულიყო მონობის ულელი ეზიდა, — ერჩივნა რამოდენიმე საათი მოსვენება და ძილი თავის წრეში, ვინებ გარეშე საზოგადოებაში, სადაც არავითარი ცხოვრების გარანტია, თუნდაც მონურის, მისთვის არ იყო.

შეჩევული თავის წრეს, პიროვნება ვერ გრძნობს, თუ როგორ ნელ-ნელა და შეუმჩნევლად ვითარდება მასში მის გარშემო მომხდარი მოვლენები, გამოსული მისავე წრიდან, მისივე საზოგადოებადან. ხელოვნება, ისტორია, მუსიკა, ენა, ზნეჩევულებანი და მრავალი სხვა, ამ საერთო მოვლენათა აუცილებლობამ შექმნა ადამიანთა თითეული ჯგუფის, საზოგადოების გაზრდა-განვითარება. თითეული საერთო კუთვნილება გადაიქცა გამომხატველი პიროვნებათა სულიერი საიდუმლოებათა გამომყლავების...

როცა საერთო კუთვნილებას ეხებიან, ემუქრებიან, ადამიანთა ჯგუფის სოლიდარობა მჭიდრო ხდება, ის კავშირდება, ემზადება მის დასაცავად, რადგან ის მას შეჩევულია, მისით სულღმულობს, უმისომ მას ცხოვრება არ შეუძლია.

და თუ ძალით მას მოსწყობიტეს, სხვის წრეში გადაისხროლეს ან მისი ოჯახის გამე და ბრძანებელი უცხო შეიქნა, ის უკვე ტყვეთ გრძნობს თავს, შინაური უთანხმოება უცებ იშლება და საერთო ფრონტში იყრის თავს ბატონი და ყმა.

მაგრამ ერთა და სახელმწიფოთა მონძალის ვრცელ სივრცეზე, შინაური ცხოვრება მთელი საუკუნეების განმავლობაში მოწყობილი იყო სოციალურ უსამართლოების და ჩაგრების ნიადაგზე. აქედან ერთს უდიდესი ნაწილი მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს, მოწყვეტილი სამშობლოს მართველობის სათავეს.

ამით თქმა იმის, რომ მათ სამშობლო არ ქონდათ, განმეორება იქნებოდა იმ სისულეების, რასაც ზოგიერთი ისტორიული ჯგუფები სამშობლოს თავის სახეში ხედავდენ.

ამ მხრივ კაცობრიობამ უდიდესი პროგრესი გააკეთა, პიროვნების და შრომის დაცვის ინსტიტუტი შექმნა და შედარებით უზრუნველყო მათი პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებები.

ეს დასაწყისი ნაყოფია სოციალისტურ იდეათა წარმოშობის, მისი განვითარების.

შედეგათ მშრომელმა ხალხმა უფრო ახლო შეიგრძნო და შეითვისა სამ შობლოს მხურებალე გული... საგუთარ კულტურას ხარბად დაეწავა და თავის ერის შინაურ საქმეთა მოწყობაში თავისი წილი მოითხოვა.

როგორც პირველყოფილ ცხოვრების ხანაში აუცილებლათ შეიქმნა პიროვნებათა დაახლოებების საჭიროება, მით უმეტეს დღეს, ტეხნიკის, მიმოსკლის და ვაჭრობის დროს, ყოველდღიური ცხოვრების რთულმა პირობებამა შექმნა ერთა კავშირის აუცილებლობა; უკანასკნელის უარყოფა მოსპობას უქადის ამა თუ იმ ერის არსებობას.

ერთად-ერთი ძალა, რომელიც ნამდვილ კავშირის შექმნას ემსახურება, — არის სოციალიზმი.

მხოლოდ ეს კავშირი ძლიერი მაშინ იქნება, როცა თითეულ ერში, — კლასთა ბრძოლას შეცვლის სოციალური თანასწორობა და კოლექტიური შემოქმედება გახდება საზოგადოებრივ ძალთა განვითარების ფუძეთ. და სწორედ, სოციალიზმი იბრძების რა თითეულ ერში საზოგადოებრივ ცხოვრების გარდასაქმნელად, ის თავს უყრის ერთ თაიგულში სხვა და სხვა ერის სახეს, სადაც თითეული მათგანი ამშვენებს მას, მაგრამ თავის სახეს კი არ კარგავს...

სამშობლოს ცოცხალი ინტერესი მოითხოვს მუდმივ კავშირს სხვა ერთა სამშობლოსთან.



ამ კავშირის მტკიცე, მკვიდრ ნიადაგზე დაფუქნება უკანასკნელის მუდმივ განვითარებისაგან ბევრად არის დამოკიდებული თითეულ ერთა კულტურულ--ეკო-ნომიური აღორძინება.

მუშათა კლასის პატრიოტიზმი უფრო ნათელი და სალია, ის გამსჭვალულია საკუთარი მიწაწყლის, თავის კულტურის სიყვარულით, რა ასეთივე გრძნობებს განიცის, სხვა ერის მიმართაც... ის ცეცხლით და მახვილით დაიცავს თავის კერას და ამავე დროს არასოდეს უდიერათ არ შეეხება უცხო ერის წმინდათა წმინდას...

სოციალიზმი განუყრელი თანამგზავრია სამშობლოსი, მისი უაღრესი დამცველია, ის მას არ სპობს და არ აარსებს ერთ მთლიან ერთეულს, რადგან ეს იქნებოდა იმპერიალიზმი, დაუნდობელი ძალაზე დამყარებული მართველობა, პირიქით, ის თითეულ მათგანს აკავშირებს ხალხთა უდიდეს ოჯახში, რომელიც თანასწორობის, ერთობის და ძმობის წმინდა იდეალებზეა დამყარებული.

3. ს — ძ

### კ ი მ უ ნ ი ჯ გ ი გ ე რ ა მ ა ნ ი ა შ ი

მოსკოვის ინტერნაციონალს ასე თუ ისე მასსიური პროლეტარული ორგანიზაციები მხოლოდ გერმანიაში, საფრანგეთში და ჩეხოსლოვაკიაში მოეპოვება. აქედან გერმანიის კომპარტიიზე ის თავიდანვე უდიდეს იმედებს ამყარებდა. ევროპის უდიდესი ერი, სისხლისგან დაცლილი და მგმინავი ომის და დამარცხების ეკონომისური და პოლიტიკური შედეგების ქვეშ, სამშობლო ევროპის ყველაზედ უფრო მრავალრიცხვანი და კლასობრივათ გათვითცნობიერებული პროლეტარიატის და აგრეთვე ევროპის უდიდესი კომუნისტური ბელადების (ლიუკსემბურგის, ლიბერტის მერინგის და სხვ.) — თავის თავად ყველაზე უფრო შესაფერისი მასალა უნდა ყოფილიყო მოსკოვის თვალსაზრისით მისი «მსოფლიო რევოლუციონური» გეგმებისათვის. ამას ერთვოდა საგარეო პოლიტიკური «ინტერესთა ერთობა»: გერმანიის ძლიერი და ომის გამო განსაკუთრებით გნებააშლილი ნაციონალიზმი ხომ თავიდანვე მოსკოვის მოკავშირი იყო (ლენინი ლუუდენდორფის ჯაგმინიან სალონ-ვაგონში); დამარცხებული გერმანელი მემარჯვენენი და მოსკოვიც მხოლოდ-და ერთმანეთზე ამყარებდენ თავიათ იმედებს დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას ემატებოდა ორთავეს «საერთო ინტერესი» მათ შეაში მყოფ მეზობლის — ახლად აღმდგარი პოლონეთის — წინააღმდეგ. და ყველაფერი ეს მოსკოვს «მებრძოლი გერმანიის» ბუნებრივ «მოკავშირედ» ხდიდა. გერმანიაში დამარცხების ნიადაგზე აღმოხეთქილი რევოლუცია და განაწამებ მასსების სასოწარკვეთილი რადიგალიზმიც ფრთას ასხამდა მოსკოვის იმედებს.

მაგრამ აგერ თორმეტი წელიწადი გადის გერმანიის რევოლუციის აქეთ და «მსოფლიო რევოლუცია» არსად სჩანს. თითქოს მოსკოვსაც მობეჭრდა ამ ილიუზიების ტყვეობაში ყოფნა და კომინტერნის მეშვეობით თავისივე სანაქებო გერმანული პარტიის სხვა და სხვა ოპორტიუნისტულ მეთაურებს თავში უტყაპუნებს. რა მოხდა? რამ შეაშფოთა მუდამ იმედიანი მოსკოველი «პატერფამილიას»? ამის პასუხი გერმანული კომუნიზმის მდგომარეობის გაცნობიდან გამოიყვანება.



1918 წელს ოფიციალურად დაარსებული კომპარტია სრულიად გერმანიის საჯარო არჩევნებში პირველად 1920 წელს გამოდის და დებულობს 590 ათას ხმას. მხოლოდ აქვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ს. დ—იასა და კომპარტიას შორის იმ სანებში არსებობდა კიდევ დამოუკიდებელი სოც. დემ. პარტია, რომელმაც იმავ წლის არჩევნებში სუთ მიღიონტე მეტი ხმა მიიღო და რომლის ფართე მასსები კომუნიზმისკენ იხტებოდენ. ამ პარტიის გათიშვა და მისი დიდი უმრავლესობის კომუნისტებისკენ გადასვლა მოხდა 1920 წლის მიწურულში. ბრძოლა ამ პარტიის მემკვიდრეობისათვის დიდ ხანს გაგრძელდა. მხოლოდ 1922 წლის ბოლოს დამ. სოც.—ის დარჩენილი მეთაურები მეუმრავლესე ს. დ—იას შეუერთდენ, რამაც ს. დ. პარტია განამთელა. მაგრამ დამ. ს. დ—ის მასსებისთვის ისევე ადვილი არ იყო მეუმრავლესე სოც. დემ—იასთან დაბრუნება როგორც მეთაურებისთვის. აქ საჭირო იყო კიდევ რამოდენმეტ წლის იდეური და პალიტიკური ბრძოლა სოც. დემ. და კომუნიზმს შორის. ამ ბრძოლაში კომუნისტურ პარტიას ბევრი გარემოება უწყობდა ხელს. ეს იყო ხანა გერმანიის უმძიმესი გაჭირების და უთიდესი არევდარევის, რურის მიდამოების დაკავების, საშინელი ინფლაციის, მცხოვრებთა ფართე მასსების სწრაფი გალატაკებისა და სასაწარგვეთის. ამასთან მოსკოვის უმრავი მილიონებიც ხომ კომპარტიის განვარგულებაში იყო. ამ პირობებში მოხდა 1924 წლის მაისში, რაიხსტაგის არჩევნები, რომელშიაც კომპარტიამ 3,7 მილიონი ხმა მიიღო, (ყველა მიცემულ ხმების 12,8 პროც.), სოც. დ—იამ ექვსი მილიონი (23,2 პროც.).

კომინტერნის ბაქიბუქს საზღვარი აღარ ჰქონდა; სუდი მოკლე ხანში «სრული განადგურებით» ემუქრებოდა გერმანიის სოციალდემოკრატიას. მაგრამ მას მართლაც სულ მოკლე ხანში გაუცრუვდა ანგარიში. იმავ წლის დეკემბრის ხელახალ არჩევნებში სოც. დ—იამ მოიგო თითქმის ორი მილიონი ახალი ხმა (32 პროც.). კომპარტიამ კი დაპარგა ერთი მილიონი (26 პროც.). 1925 წლის აპრილში მომხდარ პრეზიდენტის არჩევნებში ამ უკანასკნელმა 1,9 მილიონ ამრჩეველს ძლიერ მოუყარათავი! რაიხსტაგის შემდეგ არჩევნებში, 1928 წლის მაისში, კომპარტიამ რაიხსტაგის წინა არჩევნებთან შედარებით მოიმატა 554 ათასი ხმა, სოც. დემ—იამ 1,270 ათასი. მაგრამ კომპარტიის ხმების გაზრდა მაინც საგრძნობი იყო, თუმცა მას 1924 წლის მაისის დონეზე ასვლას ბევრი აკლდა. რამდენათ სუსტათ უჭირავთ მათ მათივე ნამდვილი თუ მოჩვენებითი მიმდევრები, ეს ნათლად დამტკიცა იმავე წლის შემოდგომაზე მომხდარმა რეფერენცუმმა ჯავშნისნის კითხვაზე, რომელშიაც კომუნისტებმა ზოგ სხვა რადიკალურ ელემენტებთან ერთად 1,2 მილ. ხმა ძლიერ მიიღეს.

ეს არის კომუნისტური ხმების დამახასიათებელი თვისება: — მათი არაჩეულებრივი მეტყეობა, მათი საარაკო ხტუნვა ხან ზევით, ხან ქვეით. კომუნისტების მიერ მიღებული ხმები უფრო მომენტალური გუნების და განწყობილების ნაყოფია, ვიდრე შედეგი პოლიტიკური ამინდის ნამდვილი დაფასებისა; ის ვერ სწოდება ს.—დ—ის სიმაღლეს, ვერას აკლებს მას და ფსკერგავარდნილი ვარდება ძირს.

სოც. დემ—იის წევრთა რიცხვი უკვე მილიონს გადასცილდა, ხოლო კომ. პარტიის 80 ათასსაც კი ვერა. კომუნისტებს ასეულ ამრჩეველზე დაახლოვებით მხოლოდ ორ-ნახევარი წევრი მოსდით; სოციალდემოკრატიას კი დაახლოვებით ათი! (1928 წლის არჩევნების მიხედვით). სოცდ—ას, როგორც დავინახეთ, სამჯერ მეტი ამრჩეველი ჰყავს, ვიდრე კომუნისტურ პარტიას, და თავის ამრჩეველთა თვითეულ ათასეულში პირველის გვლენა ბევრად უფრო ურყევია, ვიდრე მეორესი.

სოციალდემოკრატიის უკან მრავალ-მილიონანი არმა სდგას. ეს იმიტომ, რომ ის ძლიერია მუშათა უდიდეს მასსიურ არგანიზაციებში: — პროფესიონალურ კავშირებში და კოოპერატივებში. აქ კომუნისტების სიკოტე ადვილი დასანახია. იგივე მუშები, რომელიც კომუნისტებს პოლიტიკური არჩევნების დროს ხმას აძლევენ, მეორე დღეს მათ წინააღმდეგ აძლევენ ხმას პროფ. კავშირებში და კოოპ.ში.

ამ დაწესებულებებს მათ მათივე მიმდევრებიც ვერ ანთობენ. თვით კომუნისტურად განწყობილ მასშებსაც არ სურთ კომუნისტურ პარტიას ხელში ჩაუგდონ ისეთი ორგანიზაციები, რომლებთანაც მათი საარსებო ინტერესები მეტად მჟღადროთ არიან დაკავშირებული. ამიტომ არის, რომ კომუნისტებმა დღემდე ვერ შესძლეს გერცერთი პროფ. კავშირის, ვერც ერთი კოოპერაციის რომელიმე მნიშვნელოვანი ცენტრის ხელში ჩაგდება.

როგორია თვით კომუნისტური პარტიის აპარატი და შემადგენლობა?

მეთაურთა ზედა ფენები გადარეცხა მოსკოვის ნიაღვარმა. ისინი ან თავისი ნებით ჩამოსცილდენ მოქაობას, ან გადაყენებულ იქნენ. ძველი მეთაურები, პაულ ლევი, ფრისლანდი და ყოფილი დამოუკიდებელი ს. დ-ბი (დომიგი, გაიერი, პოფმანი და სხვ.) ხომ დიდი ხანია მოსცილდენ კომ. პარტიას და ს. დ—იასთან დაბრუნდენ! მეორე წყებაც — ბრანდლერი, ტალპაიმერი და კომპანია დიდი ხანია გადარეკეს: ასევე მოუვიდა რუთ ფიშერს და მის ჯგუფს, კორშს, კაცს, მასლოვს და მრავალ სხვა ერთ დროს «მსოფლიო რევოლუციის ურიდეს გმირებს». მოხუცი კლარა ცეტკინი ხომ ცოცხალ ლეშათ არის ქცეული! არავინ იცის, ის პარტიაშია კიდევ თუ არა! 1924 წელს არჩეული 45 დეპუტატიდან რაიონსტაგის გამცებამდე (1928), 30 ლა შერჩა პარტიას. ერთი სიტყვით, ყველა ასე თუ ისე სერიოზული და საკუთარი თავის მქონე მეთაური მოსწყდა კომ. მოქაობას. სასიცოცხლო ელემენტები გადავიდე სოც. დემ—იაში. კომ. პარტიას კი შერჩა აპარატი, რომელსაც სტალინი თავის სურვილებისამებრ ამოქავებს.

კომ. ხელმძღვანელთა ქვედა ფენებიც, «მოწინავე მუშები» ვერც ინტელექტუალურად და გაწრთვენ—მომზადების მხრივ, ვერც მორალურათ თუ პასუხისმგებლობის გრძნობით ვერ შეეძრებიან სოც. დ—იულ ფუნქციონერებს და მხოლოდ დემაგოგისათვის თუ გამოღვებიან. მათში ვერ ნახავთ პროფესიონალურ, საკონპერაციო, სასკოლო ან კომუნალურ დარგში გაწრთვნილ მოღვაწეებს.

კიდევ უფრო ჩამორჩენილია სოციალდემოკრატიულ მასშებთან შედარებით, კომუნისტური პარტიის ქვედა ფენა და მიმდევართა «მასშები».

მუშათა (უფრო უმუშევართა) უმატაბლესი ფენები, უცემ გადატაკებულ—გაბოროტებული მეშჩანობისა და წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი, ორითდე ლუმპნპროლეტარი და სხვა დეკლასიური ელემენტები — აი გერმანიის კომუნისტური პარტიის ლაშქარი. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება ხვალ ფაშისტებს შეიმხროს ან პირიქით. სრულიად გულახდილათ და სამართლიანად ამბობს პიატნიცკი:

«თითქმის ყველა წარმოებაში, სადაც პროფესიულთა ოპოზიციამ (კომუნისტურმა) ამ წელიწადში ხმები დაპკარება, მოიმატა ფაშისტებმა—ო, და ამის აშკარად დამატებიც დებელი სტატიისტიკაც იქვე მოპყავს— უკვე ამ აღსარებიდან სჩანს, თუ რანიჩ მასშებში აქვთ კომუნისტებს გავლენა და თუ როგორ «ამზადებენ» ისინი მუშათა კლასს.

კომუნისტების ერთოვანად რეაქციონური და მუშათა კლასის გამხრწელი საქმიანობა მეტად ცხადია. არ მომხდარა გერმანიაში რეაქციონური ძალების თითქმის არც ერთი გამარჯვება, რომელშიაც კომუნისტებს უდიდესი ღვაწლი არ მიუძღვოდეთ.

კომუნისტებს გერმანიის ყოველ სსენებაზე პირზე აკერიათ «პინდენბურგის რესპუბლიკა». პინდენბურგის არჩევა — ქვეყანა იცის! — მათ გახადეს შესაძლებელი ტელშანას საპრეზიდენტო არჩევნებში ბოლომდე წამოყენებით და ხმების დაფანტივით. ეს მოსკოვმაც უსაყვედურა მათ. ყველაფერი ისიც, რაც პინდენბურგის არჩევის შემდეგ მემარჯვენ გეზის სასარგებლოთ მოხდა, მათი შეაღმარება. რაც უარესი, მით უმშვერიერესი, — აი არსებითად მათი ლოზუნგი. ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე, რომ მათ (ისიც მუშების მეტის შიშით!) იმავე წინადაღებას მისცენ

ხმა, რასაც სოციალდემ—ტები აძლევენ. დიდ უმრავლეს შემთხვევებში უჭირელად წინააღმდეგი უნდა ჰქნან და ამით მთელ საპარლამენტო მუშაობაში — წმინდა პოლიტიკურში, ეკონომიკურში — თუ სოციალპოლიტიკურში — მუდამ უშავესი რეაქციის საქმეს აკეთებენ.

იგივე ითქმის გერმანის კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირზეც. იგივე ველური პოლიტიკა, იგივე უსიტყვის მონიბა მოსკოვის მიმართ, იგივე მორალური გახრწნა, რაც ახალგაზრდობაში კიდევ უფრო საშიშ ფორმებს დებულობს; იგივე რეაქციის სამსახური, დანებით და ცილისწამებით ბრძოლა სოციალდემოკრატიული ახალგაზრდობის წინააღმდევ.

თუ კომუნისტურს, ამ გიუურ პარტიას მასსების ერთ საკრძნობ, თუმცა შეუგნებელ ნაწილში მაიც გავლენა აქვს, ეს აიხსნება საერთო ხასიათის მიზნებით — ომის, უმუშევრობისა და უამრავი გადასახადების მიერ მცხოვრებთა ერთი ნაწილის მეტისმეტი გაბოროტება და არევდარევა, მოსკოვის მილიონები და სხვა. აგრეთვე გერმანის სოციალდემოკრატიული პარტიის ზოგი სისუსტეებითაც. უპარველეს ყოვლისა ის ფაქტი, რომ სოციალდემოკრატია წლების განმავლობაში გათიშული იყო, დღემდისაც ერთგვარ კვალს ამჩნევს მის ენერგეტიულ და პროპაგანდისტულ ძალას. მართალია ის ერთი უაღრესად ანტიბოლშევიური პარტიაა (ამიტომ სძლოს მოსკოვს «ფორვერტს»-ი ყველა სხვა გაზრდზე უფრო). მაგრამ ყოფილი გათიშვა, რომელიც პარტიის ერთს, თუმცა მცირედ ნაწილს დღესაც ბოლშევიზანურ პანგებზე ამღრებს, გერმანის მძიმე მდგომარეობა და მთავრობის პარტიის ნაწილობრივ დიპლომატიური თავდაპირისობა მოსკოვის მიმართ, თან ავსტრიის და რუსეთის სოციალდემ—ის ბოლშევიზანური გავლენაც ხელს უშლიდა მისი ბრძოლის სიმკეთრეს. ამავე დროს გერმანიის სოციალდემო—ტიას სჭირია მეტი გადაჭრილობა და თავგამოდება კომუნისტებთან ბრძოლაში. კომუნისტებს ჯერ ბევრი ჰყავთ ისეთები, რომელთაც არა უწყიან, თუ რა ხდება მათივე პარტიის გახრწნილ სათავეში.

აი ამ მასსების გულში მთელი სიმძლავრით შეჭრა — რა მსხვერპლიც არ უნდა დაჯდეს ეს! — და შაგ ენერგიული, ხანგრძლივი და ყოველმხრივი პროპაგანდა — მუშაობის გაჩაღება მოსკოველთა წინააღმდევ არის აუცილებელი ამოცანა გერმანიის სოციალდემოკრატიისთვის.

დღეს, როცა გერმანიამ დასავლეთთან დაახლოების საქმეში გადამჭრელი მნიშვნელობის საზღვარი გადალახა (იუნგის გეამა), გერმანიის სოციალდემ—იაც გადამჭრელ შეტევებზე უნდა გადავიდეს კომუნიზმთან ბრძოლაში. ამ მხრივ მეტად საგულისხმო იყო გერმანიის სოციალდემ—ტიის ენერგიული გამოსვლა ბოლშევიზმის წინააღმდევ წარსულ მაისში, ინტერნაციონალის ეგზეკუტივის სხდომაზე, ბერლინში. აქ ის პირველად დაუპირდაპირდა ვინას გარკვევით და გაბედულათ.

იმედი უნდა ვიქენიოთ, რომ გერმანიის სოციალ—კრატია იქ შეტევით პოლიტიკას მოსკოვის წინააღმდევ, რომელსაც ის ეგზეკუტივის სხდომაზე მოითხოვდა, შეუპოვრად განაგრძობს და განავითარებს. ამით ის არა მარტო გერმანიის კომუნისტურ მოძრაობას გამოაცლის ყოველგვარ სასიცოცხლო ელემენტებს, არა მარტო გერმანიაში განამტკიცებს თავის პოზიციებს, არამედ დიდ მუშათა ინტერნაციონალსაც გამაჯანსაღებელ კვალს დამჩნევს.

## ჩ 3 2 6 0 ა 6 ა ლ 0 თ ა ღ ბ ა

არა ერთხელ გვსმენია, თუ რა უმსგავსო და ცალმხრივ აღზრდას ლებულობს ჩვენი მომავალი თაობა საბჭოთა საქართველოში, მაგრამ რაც მეტად გვაწუხებს ჩვენი მომავალი ბერი, მით უფრო საჭიროებას ვგრძნობთ მუდამ და კიდევ ამ უმსგავსოებაზე ვილაპარაკოთ.

გადახედეთ თუ გნებავთ პირველი წლის საკითხავ წიგნს პატარა ბავშებისა-თვის და უკვე იქ დაინახავთ, თუ საით უნდა მიეკმართებოდეს მომავალი ქართველის აზრი და გონება; პირველი ანბანის ამოსალები აჭრელებულია კომუნისტური ამბებით და იშვიათად შეხვდებით ისეთ მოთხოვნისა ან სურათს, სადაც ბავში ან თავ-ჯდომარებას არ სწავლობდეს, ან მდივნობას, ან ილიჩის დაბადების, მისი მოღვაწეობის და სიკვდილის ამბავს.

როგორც კი ბავში ამ ამოსალებს გაათავებს, ის უკვე ნორჩი პიონერია, სა-იდანაც ის ჯერ კომსომოლი უნდა გახდეს, შემდეგ კი ჩეკისტი და პარტიის წევრი.

ამ ეტაპების გავლა ყველასათვისა შესძლებელი. მაგრამ თუ ამ პროცეგან-დის მიუხედავათ, ახალგაზისის საღმა გონებამ მანც სწორი გზა აირჩია და კომუნისტი არ გახდა, ხელისუფლება მას გასაქანს აღარ აძლევს, უნივერსიტეტის კარებს უ-სურავს და ჩეკისტ-კომსომოლების სათარეშოთ ხდის ქართულ პულტურის ტაძარს. აქედან შედეგიც ერთად-ერთი უნდა იყოს: საქართველოს მომავალი თაობა ან სრულებით უვიცი უნდა დარჩეს, ან მხოლოდ კომუნისტური ინტელიგენცია უნდა იდ-გეს ერის სათავეში. ეს არის მმართველი პარტიის მიზანი და ზრახვები.

მაგრამ თუ ეს შერჩევული მოსწავლე ახალგაზდობა კომუნისტურია, საბედნი-ეროდ უნდა აღინიშნოს, რომ თვით ამ კონუნისტურ ახალგაზდობაში იჭვი დაიბარა — ვაი თუ ხეალ ან ზეგ კომუნისტური პარტია ქვეყნის სათავეში აღარ იქნეს და ვინ-და იქნება მაშინ ჩვენი მფარველით. თუ წინეთ ეს კომსომოლები პუმანიტარულ მე-ცნიერებას წაწავებიდენ და გაკომისრება მათი იდეალი იყო, დღეს ისინი თვითონვე შეეჭვდენ საბჭოთა ხელისუფლების მუდმივობაში და მწვავედ იგრძნეს, რომ მომა-ვალი ცხოვრება მათგან არა ლენინის ნანდერტების ზეპირ ცოდნას მოითხოვს, არა-მედ ცოდნას პრაქტიკულს. ტეხნიკურს, თუ სურთ მათ ამ ცხოვრებას პირისპირ შე-ხვდენ, ულუკმოდ არ დარჩენ. უა ამ საჭიროებას არა მარტო ახალგაზდები გრძნო-ბენ, არამედ, რაც მთავარია, თვით მათი მამები, ძველი კომუნისტები ყნოსვენ, რომ მათი ბრძანებლობა დიდ ხანს ვერ გასტანს და ამიტომ ცდილობენ მათ შეიღებს პრაქტიკული ცოდნა შესძინონ, რათა ამით მათი მომავალი უზრუნველყონ.

ამგვარად მოხდა, რომ თანდათანობით დაკარგეს მნიშვნელობა მუშათა ფა-კულტურებმა და სოციალურ დარგებმა, სადაც მოსწავლეს მოღვაწოდ მარქსიზმს ას-წავლიდენ და მასაც კომუნისტურ ყაიდაზე, ან ლენინიზმით ხსნიდენ ყოველ მოვლე-ნას. ამ რიგად ცხოვრებას მაინც თავისი გააქვს და მისი ლოლიკური მსვლელობა ვერც კომუნისტურმა ძალატანებამ შესცვალა.

ახალგაზდობაზე უკეთეს მდგომარეობაში არც ქართული ენა ჩაუყენებიათ ჩვენი ქვეყნის მესუეურთ. რა კი მისი სკოლიდან განდევნა შეუძლებელი შეიქნა მათ-თვის, მოსკოვის ემისრებმა ყოველი ძალაონე იხმარეს, რათა მათი პატრონების ენა

პრივატული მდგომარეობაში მაინც ჩაეყენებიათ დედაქანასთან შედარებით შესტევს  
ლი ეს ხომ ის ენაა, რომელზედაც უკვდავი ილიჩი სწერდა; ამიტომ იფიქრეს ბოლ-  
შევიყებმა, რომ მისი გაკვეთილი ხუთჯერ უნდა ყოფილიყო კვირაში, ხოლო ქარ-  
თული ენის ოთხჯერ!

ხალხის აბუჩად აგდებაში მათ კათოლიკურ ეკლესიასაც გაუსწრეს, რომელიც  
ლათინურად სწირავს ყველა ქვეყნებში, სადაც ეს ენა არა თუ ხალხს, არამედ თვით  
მღვდლებსაც არ ესმით ხეირიანად. რუსულის ადგილობრივად და უფრო კარგათ შე-  
სასწავლად, საბჭოთა მთავრობა რჩეულ კომუნისტ-სტაბენტობიანტ სტუდენტებს მოს-  
კოვშიაც კი აგზანის სწავლის მისაღებად, თითქოს ჩვენში არ არსებობდეს უმაღ-  
ლესი სასწავლებელი. მაგრამ რუსულ ენას ვერც ამ პროტექციამ უშველა ჩვენში.  
მისი ცოდნა დაახლოებებით იმავე დონეზე დგას, რომელზედაც იდგა ფრანგული ან  
გერმანული ენა ბეჯით გიმნაზიელისათვის ძველ დორში.

ჩვენ ზოგიერთებსავით არ გვახარებს რამეს უცოდნიარობა, თუნდაც ეს მტე-  
რის ენა იყოს, მაგრამ ეს ფაქტი საბედნიეროთ იმას მოწმობს, რომ კომუნისტური  
ძალადატანებისთვისაც შეუძლებელი საქმე შეიქნა ეროვნული სულის ხელოვნურად  
ჩაგვლა. მართლაც, რაა გასადგირველი, რომ ქართულმა ენამ რუსული დაჩრდიროს  
ჩვენში, თუნდაც ასეთ დახუთულ ატმოსფერაში?

ასეთია ჩვენი ხალხის ეროვნული გამძლეობა და პოტენციალური ენერგია,  
რომელსაც ქართველი ახალგაზრდობა ასე ამჟღავნებს დუხშირ პირობების მიუხედა-  
ვად იქ, საქართველოში.

არა ნაკლებ მწვავეა, მწარეა საუბედუროთ ის ხევდრი, რომელიც წილად შე-  
ხედა უცხოეთში მყოფ ახალ თაობას. თუ აქ თავისუფალი გართ პოლიტიკური ძალ-  
დატანებისაგან, სამაგიეროთ გვიძლება მძიმე ბრძოლა ფიზიკური არსებობისათვის,  
ვეწევით შეუჩვეველ ფიზიკურ შრომას...

და მაინც ყველა ამის მიუხედავათ, ჩვენი წმინდა ვალია განაწამებ სამშობ-  
ლოს წინაშე, დავაკვირდეთ და შევისწავლოთ აქაური ცხოვრება, შევიყვაროთ აქაუ-  
რი შრომა, შევიძინოთ შეძლების მიხედვით ცოდნა იმ დარგის და საქმის, რომლის  
მიღება ასე შეუძლებელია იქ, საქართველოს პირობებში.

ჩვენ გვჯერა, რომ ამ საჭიროებას ყველა აქ მყოფი ახალგაზრდა გრძნობს და  
აქ დროებით ყოფნას უესაფერისად მოიხმარს.

აკ. ასათიანი

29 — 6 — 30 წ.

უადგილობის გამო გადადებული მასალა დაიბეჭდება  
შემდეგ რვეულში.

მასალები და სხვა უნდა გადმოიგზავნოს ამჩ.

პ. სარჯველაძის სახელზე, პარიზში.